



ადმონსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 3 ივლისი, 2013 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
2. ლაშა ტულუში - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი
3. ოლეგ შატერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი
5. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი
6. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს მონიტორინგის ანგარიშების მომზადების საკითხი. ეროვნული პლატფორმის პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებმა უნდა მოამზადონ ანგარიშები რეკომენდაციებით ENP ან EaP მიმართულებებიდან, თითო ჯგუფი ამზადებს ანგარიშს 5 თემაზე, ჯამში ოთხივე ჯგუფის მიერ უნდა მომზადდეს მონიტორინგის ანგარიშები 20 სხვადასხვა თემაზე. სასურველია არჩეულ იქნეს კონკრეტული საკითხები და არა ზოგადი თემები. ანგარიშების წარდგენა მოხდება მიმდინარე წლის ნოემბერში დაგეგმილ ვილნიუსის სამიტზე. პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ჰონორარები იმ ექსპერტებისთვის, რომლებიც იმუშავენ ანგარიშზე (თითო ანგარიშზე 2 - დან 5 ექსპერტამდე). ერთ ანგარიშზე გამოყოფილია 2200 ევრო. ექსპერტების შერჩევა მოხდება ჯგუფების შიგნით.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მონიტორინგის ანგარიშის ფორმატზე, შინაარსა და სტრუქტურაზე, მომზადების ვადებსა და შეფასების სტანდარტებზე. გადაწყდა, რომ დოკუმენტი უნდა იყოს დაახლოებით 10 გვერდიანი. დამსწრეები შეთანხმდნენ სამუშაოს შესრულების შემდეგ გრაფიკზე: 15 ივლისამდე საკოორდინაციო საბჭო ჯგუფებიდან მიიღებს თემებისა და ექსპერტების სიას. 10 სექტემბერისთვის მზად უნდა იყოს დოკუმენტების პირველი სამუშაო ვერსია, რომელიც გასწორდება და 20 სექტემბერისთვის გადაეგზავნებათ ავტორებს. 30 სექტემბერს მზად უნდა იყოს

ანგარიშების საბოლოო ვერსია, რომელიც ითარგმნება ინგლისურ ენაზე. ანგარიშებზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოეწყობა კონფერენცია, სადაც ექსპერტებს ექნებათ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი თემები.

პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორმა დამსწრებს წარუდგინა მონიტორინგის ანგარიშის მომზადების სტანდარტები. გადაწყდა, რომ ეს დოკუმენტი დაიგზავნება ელექტრონულად, ხოლო ჯგუფებიდან ექსპერტების დასახელების შემდეგ, სავარაუდოდ 16 ან 17 ივლისს, ჩატარდება ტრენინგი მათთვის ამ სტანდარტების დეტალურად გაცნობის მიზნით.

შეხვედრის ბოლოს დამსწრებმა განიხილეს პლატფორმაში გაწვევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა ექვსი ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. საერთაშორისო ასოციაცია "კვიტას გეორჯია"
2. წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო - რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი "ემპათია"
3. საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია
4. კავშირი მდგრადი განითარებასთვის „ეკოვიჯენ“
5. სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
6. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

ეროვნული პლატფორმის წესდების 4 მუხლის 4.2 პუნქტის ა ქვეპუნქტის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაცია "რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტისთვის არაუგვიანეს 2 წლისა". აღნიშნულ მუხლთან შეუსაბამობის გამო პლატფორმაში გაწვევრიანებაზე უარი ეთქვა ოთხ ორგანიზაციას:

1. ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია
2. „სათემო ფონდი ეგრისი“
3. დემოკრატიის განვითარების ცენტრი მერმისი
4. საქართველოს ხარისხის ასოციაცია

პლატფორმაში გაწვევრიანების მსურველთა სიმრავლის გამო, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დარჩენილი განაცხადების განხილვა მოხდეს სამუშაო ჯგუფებში: პირველი ჯგუფი - "თავისუფალი არჩევანი", განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი; მეორე ჯგუფი - ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის, მეოთხე ჯგუფი - "გადავარჩინოთ მომავალი თაობა".

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია